

საქართველოს ჩემპიონატის ხარისხის ამაღლების მიზნით  
გასატარებელი რეფორმის პროექტი

გასატარებელი ღონისძიებები

1. პროფესიულ და ნახევრადპროფესიულ ლიგებში გუნდების რაოდენობის შემცირება
2. კლუბების სტრუქტურის გაუმჯობესება
3. მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლება
4. კლუბებისთვის დაფინანსების ახალი სამართლიანი სისტემა
5. ცვლილებები ესპუარებში

1. უმაღლეს ლიგაში (დიდი10) გუნდების რაოდენობის შემცირება

მოთამაშეების კონკურენციის გაზრდის, გუნდების გაძლიერების, თამაშების ხარისხის ამაღლების და ბიუჯეტის ეფექტური ხარჯვის მიზნით 2023-2024 წლების სეზონიდან უმაღლეს ლიგაში 10 გუნდის ნაცვლად მონაწილეობას მიიღებს 8 გუნდი.

მიზნები:

მოთამაშეების კონკურენციის გაზრდა

გუნდების გაძლიერება

თამაშების ხარისხის გაუმჯობესება

ბიუჯეტის ეფექტური ხარჯვა

**2023-2024 წლების სეზონზე**

დიდი10 - 8 გუნდი

პირველი ლიგა - 10 გუნდი

რეგიონალური ლიგა - შეუზღუდავი

## **2022-2023 წლების სეზონი - დიდი10 და პირველი ლიგა**

(ასვლა / გავარდნის ფორმატი)

დიდი10-დან და პირველი ლიგიდან პირდაპირ ვარდება 2 გუნდი (მე-9 და მე-10). მე-8 და მე-7 თამაშობენ გადათამაშებას შესაბამისად ქვედა ლიგის 1-ელ და მე-2 ადგილოსანთან (ქვედა ლიგის მოედანზე) 1 თამაშს.

**2023-2024 წლების სეზონიდან ბოლო ადგილოსანი გუნდი გავარდება პირდაპირ და ბოლოსწინა ითამაშებს გადათამაშებას ქვედა ლიგის მე-2 ადგილოსანთან.**

შესაბამისად პირველი ლიგის და რეგიონალ ლიგის გამარჯვებულები პირდაპირ ავლენ ზედა ლიგაში.

დიდი10-დან კლუბის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში მის ადგილს დაიკავებს პირველ ლიგაში საუკეთესო რეიტინგის სტრუქტურირებული კლუბი.

## **2. კლუბების სტრუქტურა**

სავალდებულო ხდება შემდეგი პოზიციები

- ფიზ-მომზადების მწვრთნელი
- ექიმი
- მენეჯერი

ზემოთხსენებულ სავალდებულო პოზიციებზე უნდა დასაქმდნენ მხოლოდ თანამდებობის შესაბამისი კვალიფიკაციის და ანაზღაურების მქონე კადრები, რომელთა გადამზადებასაც უზრუნველყოფს რაგბის კავშირი.

სავალდებულო ხდება ის პოზიციები რომლებიც საჭიროა კლუბის გამართულად ფუნქციონერებისთვის, მოთამაშეთა კეთილდღეობისთვის და განვითარებისთვის.

### 3. მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლება

სანაკრებო ვერტიკალს, უმაღლესი ლიგის და პირველი ლიგის კლუბებს დაუწესდებათ ვალდებულება 2022-2023 წლების სეზონის ბოლომდე საკუთარ კაცთა გუნდებში ყავდეთ მხოლოდ მე-3 დონის ლიცენზირებული მწვრთნელები, აღნიშნული სწავლების ჩატარებას უზრუნველყოფს რაგბის კავშირი. 2022 წლის ბოლომდე ასევე სავალდებულო იქნება 1 და 2 დონის ლიცენზიის ქონა ჭაბუკებთან, მოზარდებთან და ბავშვებთან მომუშავე ყველა მწვრთნელისთვის, აღნიშნულის არ ქონის შემთხვევაში გუნდს რომელსაც არ ყავს შესაბამისი კატეგორიის მწვრთნელი აეკრძალება რაგბის კავშირის ეგიდით გამართულ შეჯიბრში მონაწილეობა. ლიცენზირებას უზრუნველყოფს რაგბის სასწავლო ცენტრი.

### 4. კლუბებისთვის დაფინანსების ახალი, სამართლიანი სისტემის დანერგვა

დღეის მდგომარეობით დაფინანსების ძირითადი წილი მოდის მხოლოდ უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბებზე, ამ კუთხით მნიშვნელოვანი დისბალანსია პირველ ლიგასა და რეგიონალური ლიგების შორის, მაშინ როცა კაცთა გუნდის არ მქონე კლუბებს საერთოდ არ აქვთ დაფინანსება მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ყავდეთ ჭაბუკთა, მოზარდთა და საფესტივალო გუნდები. იმისათვის, რომ შეიქმნას დაფინანსების სამართლიანი სისტემა უნდა მოხდეს კლუბების რანგირება სტრუქტურირებულ, ნახევრად სტრუქტურირებულ და არასტრუქტურირებულ კლუბებად.

#### სტრუქტურირებული:

- *გუნდები ყველა ასაკობრივ კატეგორიაში:* კაცთა, ჭაბუკთა „ა“, მოზარდთა „ბ“, U-15, U-13, U-11, U-9. გუნდების საშეჯიბრო განაცხადში უნდა იყოს, შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიებისათვის განსაზღვრული, მოთამაშეთა მინიმალურად აუცილებელი რაოდენობა. ზემოთ ჩამოთვლილი კაცთა, ჭაბუკთა და მოზარდთა გუნდები უნდა მონაწილეობდნენ სრკ-ს ეგიდით გამართულ პირველობებში, ხოლო საფესტივალო ასაკის გუნდებმა

მონაწილეობა უნდა მიიღონ შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიის ფესტივალების მინიმუმ 70% პროცენტში.

- **გამართული საკლუბო სტრუქტურა:** სპორტულ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ სფეროებზე პასუხისმგებელი პირებით.
- **შესაბამისი ლიცენზიების მქონე მწვრთნელთა გუნდი:** (მინიმუმ 1 მწვრთნელი 30 მოთამაშეზე). მათ შორის მინიმუმ 1 ლიცენზირებული ფიზ. მომზადების მწვრთნელი.
- **სამედიცინო სამსახური:** ექიმი, შესაბამისი მომზადებით (მუდმივ შტატში).
- **სავარჯიშო და სათამაშო ინფრასტრუქტურა:** სარგებლობაში გადაცემული სტანდარტების შესაბამისი მინიმუმ 1 სტადიონი. ან შესაბამისი სტანდარტების მქონე სტადიონთან ქირავნობის ხელშეკრულება  
2 გასახდელი საშხაპით  
სატრენაჟორო დარბაზი
- **ინვენტარი** - 4 კაცზე მინიმუმ 1 ბურთი (შესაბამისი სტანდარტის).  
100 ნიშნული

#### ნახევრად სტრუქტურირებული:

- **გუნდები:** კაცთა, ქაბუკთა „ა“, ან მოზარდთა „ბ“ და მინიმუმ 2 საფესტივალო ასაკობრივი კატეგორიაში. გუნდების საშეჯიბრო განაცხადში უნდა იყოს, შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიებისათვის განსაზღვრული, მოთამაშეთა მინიმალურად აუცილებელი რაოდენობა. ზემოთ ჩამოთვლილი კაცთა და ქაბუკთა გუნდები უნდა მონაწილეობდნენ სრკ-ს ეგიდით გამართულ პირველობებში, ხოლო საფესტივალო ასაკის გუნდებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიის ფესტივალების მინიმუმ 70% პროცენტში.
- **შესაბამისი ლიცენზიების მქონე მწვრთნელთა გუნდი:** (მინიმუმ 1 მწვრთნელი 35 მოთამაშეზე). მათ შორის მინიმუმ 1 ლიცენზირებული ფიზ. მომზადების მწვრთნელი.
- **სამედიცინო სამსახური:** ექიმი, შესაბამისი მომზადებით (ხელშეკრულებით)

- **სავარჯიშო და სათამაშო ინფრასტრუქტურა:** სტანდარტების შესაბამისი მინ. 1 სტადიონი. საკუთარი მოედნის არ ქონის შემთხვევაში, სავალდებულოა ქირავნობის ხელშეკრულების არსებობა სტანდარტების შესაბამის სტადიონთან, ქირავნობის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მინ. 150 წთ. სავარჯიშო დროს კვირაში 4-ჯერ.  
გასახდელი თავის საშხაპით.
- **ინვენტარი:** 5 კაცზე მინიმუმ 1 ბურთი (შესაბამისი სტანდარტის).  
100 ნიშნული

#### არასტრუქტურირებული:

- **გუნდები:** კლუბები, რომლებსაც არ ჰყავთ გუნდები რომელიმე ერთ კატეგორიაში მაინც: კაცთა, ჭაბუკთა „ა“ და მოზარდთა „ბ“ და საფესტივალო ასაკობრივ 2 კატეგორიაში.
- **შესაბამისი ლიცენზიის მქონე მწვრთნელთა გუნდი:** (მინ.1 მწვრთნელი 40 მოთამაშეზე)  
დროებითი ხელშეკრულება მინ. 1 ფიზ. მომზადების მწვრთნელთან.
- **სამედიცინო სამსახური:** ექიმი შესაბამისი მომზადებით (ხელშეკრულებით)
- **სავარჯიშო და სათამაშო ინფრასტრუქტურა:** ქირავნობის ხელშეკრულების არსებობა სტანდარტების შესაბამის სტადიონთან. ქირავნობის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მინ. 75 წთ. სავარჯიშო დროს კვირაში 2-ჯერ თითო ასაკობრივი კატეგორიისათვის.
- **ინვენტარი:** 6 კაცზე მინიმუმ 1 ბურთი (შესაბამისი სტანდარტის). 100 ნიშნული

აღნიშნულ სისტემაზე დაფუძნებით 2023-2024 წლების სეზონიდან უნდა მოხდეს კლუბების დაფინანსება შემდეგი პრინციპით:

**დაფინანსება სტრუქტურირებული გუნდის შემთხვევაში:**

- კაცთა გუნდი - შესაბამისი ლიგის საბაზისო დაფინანსება
- ესპუარები - შესაბამისი ლიგის საბაზო დაფინანსება
- ა ლიგა - 1 კოეფიციენტი
- ბ ლიგა - 0.5 კოეფიციენტი
- U15 და U13 – 0.5 კოეფიციენტი (0.25 კოეფიციენტი დამატებით გუნდზე)
- U11 და U 9 – 0.25 კოეფიციენტი
- 7 ქალა გუნდი - 0.5 კოეფიციენტი
- აკადემიის სტატუსი - 2 კოეფიციენტი
- მოთამაშე ნაკრებში - 0.1 კოეფიციენტი
- მსაჯი (მე-2 დონის) – 0.1 კოეფიციენტი

მხოლოდ სტრუქტურირებულ გუნდს შეიძლება მიენიჭოს აკადემიის სტატუსი სპეციალურად აკადემიისთვის გაწერილი შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში და დამატებით დაფინანსების ორი კოეფიციენტის მოპოვების შესაძლებლობა.

**დაფინანსება ნახევრად სტრუქტურირებული გუნდის შემთხვევაში:**

- კაცთა გუნდი - შესაბამისი ლიგის საბაზისო დაფინანსება
- ა ლიგა - 1 კოეფიციენტი
- ბ ლიგა - 0.5 კოეფიციენტი
- U15 და U13 – 0.5 კოეფიციენტი
- U11 და U 9 – 0.25 კოეფიციენტი
- 7 ქალა გუნდი - 0.5 კოეფიციენტი
- მოთამაშე ნაკრებში - 0.1 კოეფიციენტი
- მსაჯი (მე-2 დონის) – 0.1 კოეფიციენტი

**დაფინანსება არასტრუქტურირებული გუნდის შემთხვევაში:**

- კაცთა გუნდი - შესაბამისი ლიგის საბაზისო დაფინანსება
- ა ლიგა - 1 კოეფიციენტი
- ბ ლიგა - 0.5 კოეფიციენტი
- U15 და U13 – 0.5 კოეფიციენტი
- U11 და U 9 – 0.25 კოეფიციენტი
- 7 ქალა გუნდი - 0.5 კოეფიციენტი
- მოთამაშე ნაკრებში - 0.1 კოეფიციენტი
- მსაჯი (მე-2 დონის) – 0.1 კოეფიციენტი

უფროს საფესტივალო ასაკში და ჭაბუკთა „ა“ და „ბ“ ლიგაში დამატებითი გუნდის შემთხვევაში კლუბს დაემატება შესაბამისი კოეფიციენტის ნახევარი.

**დაფინანსების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად:**

დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა = X

კოეფიციენტების საერთო ჯამი = Y

1 კოეფიციენტი = K

$K = X : Y$

კლუბებს კოეფიციენტები ენიჭებათ :

1. ბავშთა და მოზარდა რაგბის განვითარების წახალისების მიზნით.
2. სტრუქტურის გასაუმჯობესებლად
3. ქალთა რაგბის განსავითარებლად
4. სამსაჯო კორპუსის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის

თუ დიდი 10-ის გუნდი არ აკმაყოფილებს სტრუქტურული კლუბის სტატუსს, მას დააკლდება საბაზო დაფინანსებიდან, რა კოეფიციენტებიც აკლია იმ კოეფიციენტების შესაბამისი ორმაგი ოდენობის თანხა.

2023-2024 წლების სეზონიდან მოხდება დიდი 10-ის სახელწოდების ცვლილება.

#### **5. ცვლილებები ესპუარებში 2022-2023 წლების სეზონზე:**

ესპუარებში შეჯიბრის ჩასატარებლად აუცილებელია მინიმუმ 4 გუნდი და დასაშვებია მაქსიმუმ 10 გუნდი.

მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

იმ შეთხვევაში, თუ დიდი 10-ის რომელიმე გუნდი არ მიღებს მონაწილეობას ესპუართა ლიგაში მისი ადგილის დაკავების უფლება ექნებათ პირველი ლიგის გუნდებს (უპირატესობა ენიჭებათ უკეთესი რეიტინგის გუნდებს).

საბაზო დაფინანსება - 30 000 ლარი

საპრიზო თანხა - 100 000 ლარი

საპრიზო თანხის განაწილება:

1-ელი ადგილი - 50 000

მე-2 ადგილი - 30 000

მე-3 ადგილი - 20 000